ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723102001**

თარიღი:**12/04/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის დროებით სარგებლობაში გადმოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმაგრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი საავტომობილო საწვავის ხარჯების განაწილების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 დეკემბრის N№37.37223622 ბრძანების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 7 აპრილის (N36-3623097190) წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის დროებით სარგებლობაში გადმოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალება („FIAT TIPO“, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი BB-708-YY) მიემაგროს და მატერიალურ პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლავრენტი ბიგვავა.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის გამოყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმაგრების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 აგვისტოს N№37.37222431 ბრძანება.

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას, ამ ბრძანების შესრულების მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

6. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი